ანასტასია კოპალიანი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ტუშას უნივერსიტეტი, იტალია

,,Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის შემოდგომის სემესტრის იტალიაში, ტუშას უნივერსიტეტში, გატარება ჩემი ცხოვრების ყველაზე ფერად, საინტერესო და პიროვნული განვითარების გარდამტეხ ეტაპად იქცა. იტალიაში ჩასვლის წამიდან დღითიდღე საკუთარ თავში ახალ თვისებებს ვხედავდი, რომლებიც საქართველოში, კომფორტის ზონაში, შეუმჩნევლად მრჩებოდა. ამ გარდასახვაში წამყვანი როლი სწორედ ჩემმა უნივერსიტეტმა იქონია. ტუშას უნივერსიტეტში გავეცანი სწავლების განსხვავებულ მეთოდებს, რომლებიც უმეტესწილად დაყრდნობილი იყო პრაქტიკულ ნაწილზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო სალექციო პერიოდი, რომლის დროსაც საშუალება გვეძლეოდა თავად გვემართა პროექტები და რეალურ ცხოვრებაში პროფესიულ გამოწვევებთან გამკლავება გვესწავლა. ასევე, მომეცა შესაძლებლობა, მიმეღო განათლება ჩემი დარგის პროფესიონალებისგან და გამეზიარა მათი მსოფლიოს წამყვან ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება, რაც ჩემთვის უდიდესი ინსპირაციის წყაროსთან ერთად, სამომავლო გეგმების ნათლად დასახვის შესაძლებლობა იყო.

მიუხედავად აკადემიური სუპერ საინტერესო და მრავლისმომცველი გამოცდილებისა, ჩემი იტალიური მოგზაურობა დაუვიწყარი მაინც თავგადასავლების, სიახლეების, გიჟური მოგონებებისა და უამრავი ინტერნაციონალური მეგობრის დამსახურებით იქნება. ჩემს უცხოელ, ახლა უკვე უახლოეს, მეგობრებთან ერთად გატარებული თითოეული დღე აღტაცებით და სიხარულით სავსე იყო. გართობასთან ერთად, მათთან ურთიერთობით სიღრმისეულად გავეცანი მსოფლიოს სხვადასხვა კულტურას, წეს-ჩვეულებას, ტრადიციებსა და ცხოვრების სტილს, რამაც საგრძნობლად გააფართოვა ჩემი თვალსაწიერი და გარკვეულწილად შემიცვალა და გამიმდიდრა მსოფლმხედველობა. საკმაოდ რთულ და დატვირთულ სასწავლო პროცესთან ერთად ხუთ თვეში ამდენი სასაცილო და გიჟური მოგონების შექმნა შესაძლებელი თუ იყო, ვერ წარმომედგინა, სანამ საკუთარ თავზე არ გამოვცადე.

საბოლოოდ, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია, რადგან პიროვნული განვითარების შესაძლებლობა, კარიერული განათლება, დაუვიწყარი ემოციები, ბევრი ძვირფასი ადამიანი და, რაც მთავარია, უბედნიერესი ერთი სემესტრი მაჩუქა. ‘’